სახალხო გაზეთი

№ 740 შაბათი, 3 ნოემბერი 1912 წ. № 740

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია „ბრდემლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

1 ნოემბერს ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა **ნადვორნი სოვეტნიკი**

ალექსი დავითის ძე ლორთქიფანიძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის ქვრივი **ირინე იოსების ასული ლორთქიფანიძისა,** შვილი მისი **ვლასი,** დები **პელაგია** და **ოლღა ლორთქიფანიძეები.** გამოსვენება მოხდება 4 ნოემბერს, კვირას, ნაშუადღევის 3½ საათ., არქიელის გორაზე, საკუთარი სახლი.

პანაშვიდ ყოველ დღე 4 ნახ. ს. 1571

ღრმად დამწუხრებულნი საცოლო **კნ. ბარბარე (ბაბულია) ივანე მაჭუტაძეს ასული,** დედა, როტმისტრის ქვრივი, **ზინაიდა (სონა) სიმონის ასული ქუთათელაძისა** შვილებით: **სოფიო (ფაცია) ნიკოლოზის ასული ყიფიანისა, მარიამ ნიკოლოზის ასული მაღრაძისა, იულია ნიკოლოზის ასული ფავლენიშვილისა, გრიგოლი სევასტის ძე ქუთათელაძე და თამარი სევასტი ქუთათელაძის ასული** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ამა 4 ნოემბერს, გადახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ

კნ. კოლია წულუკიძის

სულის მოსახსენებლად კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი დაიწყება წირვის შემდეგ 12 საათზე. 780

თ-დ ვასილ გიორგის ძე და ელისაბედ ივანეს ასული მაჩაბლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას სოფ. თამარაშენში პირველის—დედისას, მეორის—დედამთილისას

კნ. ნატალია გიორგის ასულის მაჩაბლისას.

მიცვალებულის წირვა დ დაკრძალვა მოხდება შაბათს, 3 ნოემბერს, ცხინვალის სომხის ზღუდრის ეკლესიაში შუადღის 12 საათზე. 778

ახალი კლუბი

სამშაბათს, 6 ნოემბერს, ქართულ თეატრში

კონცერტი,

ცნობილი პიანისტის ა. კ. ბოროვსკისა.

სხვათა შორის, შესრულებულ იქნება **კონცერტი** ფორტოპიანოსთვის—C–mo'l, რახმანინოვისა—ორკესტრით და ფანტაზია დონ-ჟუან ლისტისა. თეატრში შესვლა საყოველთაოა. ადგილ. ფასი პარტერში—1 მან. 3 მანეთამდე, ქანდარაზე 60 კ. 20 კაპეიკამდე. 1536

მუსულმანთა აუდიტორია

შაბათს, 3 ნოემბერს,

ხარფუხის ქართ. სახ. წარმოდგ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილ იქნება:

რაც გინახავს, ველარ ნახავ

კომედ. 3 მოქ. ავ. ცაგარლისა

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი კავთელი, მეხუზლა, ქართველიშვილი, ფეიქრიშვილი; ბ-ნნი მეხუზლა, სალაყაია, ქსენაფონტოვი, ძამიაშვილი, ყანჩაველი, ფირუმიანი, კულულაშვილი, დიდმელი, მირველოვი და სხვ. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასი 4—50 კ.

მორიგე გამგეობის წევრი არჩილ **შათირიშვილი,** ადმინისტრატორი **ნ. რაზმაძე.**

779 რეჟისორი **ს. პეპანოვი.**

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795

კვირას, 4 ნოემბერს, 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით **ცნობილი ტრაგედია კ. გუცკოვისა**

ურიელ აკოსტა,

5 მოქ. თარგმ. ი. ბაქრაძის მიერ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ჯავახიშვილი, ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მატარაძე, სარაული, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

თეატრის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

ანონსი: ხუთ შაბათს, 8 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება ,,ღალატი'',

1554 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი

კვირას 4 ნოემბერს, გაიმართება

სალიტერატურო დილა

სამს განყოფილებად. 1-ლი განყ. **მ. წულუკიძე** წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე: **ქართული ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში ესკიზი-სხემა.**

2-რე განყოფ. სცენები: **კინტოური, გლეხური, კუპლეტები** და **ლექსები.** მანდოლინაზე და გიტარაზე დამკვრელთა გუნდი **ალ კობიაშვილის** ლოტბარობით შეასრულებს ,,**ალავერდის**'' და რამდენიმე ნომერს ოპერებიდან ,,კარმენიდან'' ,,ტრავიატიდან'' ,,ფაუსტიდან'' და სხ. 3-მე განყ. **კავკასიური ცეკვა: ლეკური, უზუნდარა, ბაღდადური, ჩაჩნური** და სხ. ცეკვაში მონაწ. მიიღებ. ელ. ციმაკურიძე, თელაველი ნინა, რ. ყიფიანი, ოქროპირიძე, მ. ბახუტაშვილი, რომელმაც სამების დღესასწაულში ცეკვაში ვერცხლის ხანჯალი მიიღო საჩუქრად მონაწ. მიიღებენ: ბ-ნნი ახრახაძე, რომანიშვილი, ახოსპირელი, იორდანიშვილი, სარაული, მჭედლიშვილი, გეურქა (თარზე დაუკრავს სოლოს), საფაროვი (მანდოლინაზე სოლოს, აკომპანიმენ. სტეფანოვისა. დაუკრავს **საზანდარი.**

დასაწყ. შუადღ. 12 ნახ. ს. ადგილ. ფასი 5—50 კ.

1569 გამგე **იორდანიშვილი.**

ქართულ დრამატიულ საზოგ. გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ 28 ოქტომბერს არ შემდგარი

წლიური კრება საზოგადოებისა

მოხდება კვირას, ნოემბრის 4-სა ქართულ თეატრში, შუადღისას. 1554

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. ღეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში--ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები.

შინაგანი სნეულებანი.	**დბვითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფარადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და სამშობიარო სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფარადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თაკაიშვილი ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულბაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დბვითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა ცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა.

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხ.). **ტელეფ. 7—92.** 777

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის თვალსაწიერზე დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. —ან 7 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავად-მყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ ბ თობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურ-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა ,,606''

1018

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა. № 3, ს. გაბაშვილისა

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1049

ექიმი ს. ი. ბძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ი. ი. ზერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

ექიმი ქალი **დ. ზ. საყვარელიძე.**

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **მეფის მოადგილეს წარუდგნენ** 1 ნოემბერს: ერევნის გუბერნატორი ვ. ფ. ტიზენგაუზენი, ქუთაისის გუბერნატორი ა. ი. სლავოჩინსკი და ტფ. ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი.

✦ **ნება დართეს,** კავკასიის სცენებზე ქართულად წარმოადგინონ 2 მოქმედებიანი დრამა „სოფლის ექიმი“, თარგმანი ა. მეგრელისა.

✦ **ჟურნალისტი ლევან ყიფიანი გუშინ დააპატიმრეს** და სამხედრო ჰაუპტვახში გაჰგზავნეს სასჯელის მოსახდელად. მას ტფ. სამოსამართლო პალატის მიერ ორის კვირით დაპატიმრება აქვს გადაწყვეტილი გაზეთში დაბეჭდილ წერილისთვის, რომელსაც სათაურად აქვს: „გაფლანგულ ფულის ნუსხა“. წერილი ტფ. საკანტროლო პალატის მოხელეებს ეხებოდა.

✦ კრებული **ტფ. ბერძნების წმ. ნიკოლოოზის ეკლესიისა** სთხოვს ამავე ეკკლესიის ძრევლს, მობრძანდნენ კვირას, 4 ოქტომბერს 12 საათზე, მნათის ამოსარჩევად.

✦ გუშინ ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში გადახდილ იქმნა **პანაშვიდი** ორის წლის წინად მოკლულ მასწავლებლის ს. ს. ტროიცკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ გიმნაზიის მასწავლებელ-მოსწავლენი.

✦ როგორც გადმოგვცეს ბ-ნ **აკაკი პაპავას** დაუწერია დრამა თანამედროვე ქართველთა ცხოვრებიდან სახელად **„კეთილი დემონი“.**

✦ სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭოს დეკ. გოროდცოვის თავმჯდომარეობით ამ დღეებში სხდომა ჰქონდა სხვა და სხვა მიმდინარე საქმეების განსახილველად. სხვათა შორის საბჭოს თათბირი ჰქონია იმის შესახებ რომ საქსარხოსო მის სოფლები, რომელნიც დასახლებულია ოსებით გამოჰყონ ცალკე ოლქად და ამ სოფლებში არსებულ სამრევლო საეკლესიო სკოლების მეთვალყურეობა ჩააბარონ ახლად ამორჩეულ მეთვალყურეს.

✦ **პოლიტეხნიკუმი ტფილისში.** როგორც მკითხველებმა იციან, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობამ ათი ათასი მან. გადასდო კავკასიის უმაღლეს სასწავლებლისთვის. გუშინ ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. პ. ი. თუმანიშვილს წერილი გაუგზავნა და სთხოვა, შუამდგომლობა აღძრას თავად-აზნაურთა მომავალ კრების წინაშე, რათა აღთქმულ 10,000 მან. გარდა კიდევ გადასდოს ფული, რადგანაც ტფილისში პირველ ხანშივე გაიხსნება ოთხი განყოფილება, რაიც დიდს ხარჯს მოითხოვს. ასეთი წერილები საზოგადოებებსა და დაწესებულებებსაც დაეგზავნათ.

✦ 31 ღვინობისთვეს ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტის საქმის მწარმოებლად მიიწვიეს **„თემის“ რედაქტორი ბ-ნი გრიგოლ დიასამიძე.**

✦ კვირას, 4 ნოემბრისთვის, ქართულ გიმნაზიის დარბაზში გაიმართება სალიტერატურო დილა **ილიას პატივსაცემლად.** მონაწილეობენ მოწაფენი.

✦ ორშაბათს, 5 გიორგობისთვეს **ქართული ფილარმონიული საზოგადოება** ქართულ თეატრის დარბაზში ჰმართავს პირველ „კვარტეტის“ კონცერტს. ამ საზოგადოებას განუზრახავს ასეთი კონცერტი ექვსი გაიმართოს. იგივე საზოგადოება ამ მოკლე ხანში დასდგავს კონ-

ცერტს ქართულ სიმღერებისას. ამ კონცერტზე ბ-ნ ზაქ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“-ს ერთ მოქმედებას დასდგავენ.

✦ **სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის** გუშინ ქალაქის მეცხრე უბანში კიდევ 3 მეპურეს შეუდგინეს ოქმი.

✦ **ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობამ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა, რათა ოჩემჩირეში საზოგადოების განყოფილება გაიხსნას.

საზოგადოებანი და კრებები

✦ 1 ნოემბერს კრება ჰქონდა იმ **კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს, ღონისძიებანი მიიღოს ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.** კრების თავმჯდომარემ, სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა, გ. ნ. სტეფანოვმა აუწყა კრებას, რომ კომისიის მიერ არჩეულმა მცირე კომისიამ საჭიროდ იცნო, რომ ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეებს ყოველ ხუთს წელიწადში ერთხელ ჯამაგირები მოემატოთ. მცირე კომისიის აზრით, ამ აზრის განხორციელება ყოველწლიურად 34,000 მან. ახალს ხარჯს გამოიწვევს. ეს წესი შემოღებულ უნდა იქმნას 1913 წლიდან. კრებას მოხსენდა აზრი მეორე მცირე კომისიისაც, რომელსაც საჭიროდ უცვნია, დაარსდეს მოსამსახურეთათვის საეკონომიო საზოგადოება. კრებამ დაადგინა, აიღოს ნებართვა ამ საზოგადოების დაარსებისა. გამოითქვა აგრეთვე სურვილი, რომ ღონისძიებანი იქმნეს მიღებული, რათა მოსამსახურენი უზრუნველ იქმნენ, რიგიან ბინით, დასვენებით, საჩუქრებით და სხვა. კრების გაგრძელება ამ დღეებში მოხდება.

სასამართლოში

✦ **თავ. აპოლონ მაჩაბლის საქმე** ტფ. ოლქის სასამართლომ 1 ნოემბერს გაარჩია. ბრალდებოდა გლეხის არჩილ გურასპაშვილის მოკვლა ცხინვალში. სასამართლომ დამნაშავედ იცნო აპ. მაჩაბელი და ღირსების ახდა და 3 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა. ამას გარდა მოკლულის დედას თვეში 15 მან. უნდა აძლიოს.

ქუთაისი

✦ 17 ნოემბრიდან ქუთაისში გამოვა ყოველკვირეული სამეურნეო და საზოგადო ჟურნალი **„სასოფლო გაზეთი“**. ჟურნალის რედაქტორობა და მახლობელი ხელმძღვანელობა უკისრნია ქუთაისის სამეურნეო სკოლის მზრუნველს პ. გ. წულუკიძეს და ამ სკოლის მართველს ალ. შარაშიძეს.

✦ **მეფუტკრემ აპ. წულაძემ** ქუთ. წ. კ. გ. საზ. განყოფილების დავალებით, უკვე დასრულა მეფუტკრეობის სახალხო წიგნაკის შედგენა და განსახილველად წარუდგინა საზოგადოების წიგნების გამომცემელ სექციას.

✦ 29 ოქტომბერს, ბაქოს სატუსაღოში გაიგზავნა **ტუსაღი გურგუშიანი.** მას ბრალდება სხვებთან ერთად საფოსტო მატარებელზე თავდასხმა.

✦ 15 ნოემბერს საგუბერნიო სატუსაღოდან გაანთავისუფლებენ ნაფიცი ვექილის თანაშემწეს **გრ. გიორგაძეს.** მას გაზ. „ფონში“ მთავრობის საწინააღმდეგო წერილის მოთავსება ბრალდებოდა, რისთვისაც სამოსამართლო პალატამ ოთხი თვის ციხე გადაუწყვიტა.

✦ საგუბ. სატუსაღოში ტუსაღს **სილიბისტრო დევდარიანს** განუზრახავს თავის ჩამოხჩობა, მაგრამ მალე გაუგიათ და გადურჩენიათ. დევდარიანს ოლქის სასამართლოსაგან 12 წლის კატორღა აქვს გადაწყვეტილი. („იმერეთი“)

სოფლად

✦ **სოფ. სამება** (გურია) 22 ოქტომბერს წვრილ კრედიტის ინსპექტორმა ზ.—გელოვანმა აქ გახსნა წვრილ სესხის ამხანაგობა, იმ დღესვე ჩაეწერა 41 წევრი. საბჭოს წევრებად აირჩიეს: მიხ. ელიაძე, მღ. ზინ. ჩიჩუა და ერ. კობალიძე. გამგეობის წევრებად: მღ. ეპ. ხონელია, სერ. წეროძე და ვლ. ცქვიტინიძე.

✦ **ამაღლება** (გურია). ოქტომბრის ნახევრიდან ჩვენში გააუქმა თანამდებობა მთავრობის მამასახლისისა.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

სიღნაღი.

გარდაიცვალა ქვემო-მაჩხაანის მღვდელი იოსებ თუკუმაშვილი, რომელმაც ანდერძად დასტოვა, რომ მისი სახლ-კარი, ღირებული შვიდას თუმნად, მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საკუთრებად უნდა გადავიდეს.

წერილი მოსკოვიდან.

მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში, უნივერსიტეტის შემდეგ, ყველაზე მეტი ქართველობა სწავლობს საკომერციო ინსტიტუტში. წელს მათი რიცხვი სამოცდა ათამდის ადის.

სხვა უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს სათვისტომოები, სხვა და სხვა სამეცნიერო წრეები. სტუდენტობა მუშაობს, სცდილობს თავისი თვალთა-ხედვა გააფართოვოს, საკაცობრიო ან საეროვნო იდეალები შეითვისოს და მით თავის თავს და საზოგადოებას შეძლების და გვარად სარგებლობა მოუტანოს. სამწუხაროდ, მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტის ქართველ სტუდენტობაზე ამას ვერ ვიტყვით. ამათ არა აქვთ არც სამეცნიერო წრე, არც სხვა რაიმე კულტურული საზოგადოება.

ერთი წლის წინად ერთმა ჯგუფმა განიზრახა ასეთი წრის დაარსება, მაგრამ საქმე სათავეშივე ჩაიშალა. მიზეზი ის იყო, რომ ამ დაწესებულებას მეტი წილი დაცინვით შეხვდა, განზე გაუდგა და ხელის შეშლით საქმე დაასამარა. ბევრმა ქაღალდის თამაში არჩია და რესტორნებში სიარულს მოუხშირა.

დღეს არსებობს მხოლოდ სათვისტომო, მაგრამ ვაი ამ არსებობას. ქართველი სტუდენტობა გამოეყო კავკასიურ სათვისტომოს, ამ სამი წლის წინად. თავდაპირველად გამოყოფის მოტივი ის იყო, რომ ქართველობა მარტო უფრო მუყაითად იმუშავებდა, უფრო მეტი ხალისით მოეკიდებოდა ამ საამხანაგო საქმეს. მაგრამ, განვლო დრომ, და ახალი ხილიც დაძველდა. მომუშავეებმა იკლეს, ენერგია შესუსტდა; დანარჩენებმა იკისრეს სათვისტომოს სასარგებლოდ საღამოს გამართვა. გამართეს კიდეც, ცოტაოდენი შემოსავალიც დარჩათ, მაგრამ სათვისტომოს კასას არაფერი უნახავს. მეორე წელიწადს ხელმეორედ გამართეს საღამო. ცოტაოდენი ფული მაშინაც დარჩათ, მაგრამ... სათვისტომოს კასას კი არაფერი ერგო. დაინიშნა კომისია, რომელმაც ხაზინადარს 31 მან. დააკისრა, მაგრამ აი მესამე წელიწადი გადის და ფული არ დაუბრუნებია. სხვებმაც ისესხეს კასიდან ფული, მაგრამ არც მათ მიერ დაბრუნებული უნახავს ვისმე რამე, თუმცა ამ უკანასკნელთა რიცხვში ბევრი, მართლა, შეუძლელნი არიან.

აი, ასეთ პირობებში არსებობდა სათვისტომო. დღეს კი ასეთი არსებობაც მოესპო; კრებები აღარ იმართება, საწევრო ფული არ შეაქვთ; ერთი სიტყვით, ორგანიზაცია სრულიად დაირღვა; ამხანაგური გრძნობები შესუსტდა. ასეთ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ერთად-ერთი დაწესებულება.

კლდე.

დაბა-სოფლების მასწავლებელთა მიმართ.

როგორც კაცს მარტო პური ვერ ასაზრდოებს, ისეც მოსწავლე ბავშვს მარტო სახელმძღვანელოებით ვერ განავითარებთ, ვერ გაუხსნით გონებას. მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს ისეთი მასალა ყოველ დარგიდან, რომ ბავშვს ხალისი გაუღვიძოს სამეცადინოდ. ამისთვის საჭიროა ჰქონდეს მასწავლებელს ხელში სალი და კარგი მასალა ყოველი დარგიდან, როგორათაც: ლექსები, ზღაპრები, ფრინველთა და ცხოველთა ცხოვრების აღწერა, ისტორიული ამბები და სხვა საჭირო მასალა. ჩვენი სიღარიბის გამო შეუძლებელია ყოველ დარგიდან ცალ-ცალკე გვქონდეს წლოვანების შესაფერი წიგნაკები. ამიტომ მე დიდი ხანია დავადეგ იმ აზრს, რომ ჩვენ ყმაწვილებს უფრო საყმაწვილო ჟურნალი მისცემს ყოველ დარგიდან სასარგებლო და შესაფერ მასალას და თითქმის 25 წელიწადია მივდევ ამ აზრს. მაგრამ მოგეხსენებათ, თანდათან დროს შესაფერად ბავშვებისთვის საჭიროა უფრო ვრცელი და მეტი მასალა. ჩვენ კი არ ვიცით რომელი დარგიდან რომელი მასალის მიწოდება ეპირვება და უფრო სასარგებლო იქნება. მასალის ამოსარჩევად ჩვენ ვხელმძღვანელობთ ჩვენი დიდი ხნის გამოცდილებით და უცხო ქვეყნების მაგალითებით.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ, საქართველოს ყველა დაბ-სოფლების მასწავლებლებს, გვაუწყოთ ან ქართული გაზეთის საშუალებით, ან პირ და პირ „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (არტილერიის ქუჩა № 5) გამოგზავნოთ, რომელი მასალა საყმაწვილო ჟურნალისა, რომელსაც ვბეჭდავთ არ არის გამოსადეგი—სასარგებლო და რომელ დარგს უფრო უნდა მივაქციოთ, თქვენი აზრით, ყურადღება. ჩვენი მხრით მოვალე ვიქნებით, თუ დასაბუთებულ აზრს წარმოგვიდგენით, დაგეთანხმოთ და ვეცადოთ კვლავ ავიცდინოთ ეს ნაკლი. ამითი ჩვენს შრომას მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლება და ნაყოფიერი შრომით ჩვენც დავკმაყოფილდებით.

„ჯეჯილი“-ს რედაქტორი **ანასტასია წერეთლისა.**

მატერიალური კულტურა და ეროვნება

რა არის კულტურა?.. ეს კითხვა არა ერთხელ აღძრულა, დაუინტერესებია ადამიანის გონება... განა კულტურის მიზანი არ არის გააუმჯობესოს ადამიანის ცხოვრების პირობები და ამით დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილებანი? რამდენადაც ადამიანის სულიერ და გონებრივ განვითარებასთან ერთად ვითარდება ცხოვრების პირობები, მას ჰქვიან ცხოვრების წინსვლელობა—კულტურა. ის ქვეყანა ანუ სახელმწიფო, რომელიც უფრო მეტად აკმაყოფილებს ჩვენს ცხოვრების მოთხოვნილებას, წინ წასულია, კულტურულია. სამწუხაროდ, ვინც დაჰკვირვებია აწმყო კულტურას, იგი ნათლად დაინახავდა, რომ მხოლოდ ის ნაწილი ცხოვრებისა ვითარდება, მიდის წინ, რომელიც მიისწრაფის დააკმაყოფილოს ადამიანის გარეგანი—სხეულის მოთხოვნილებანი, ესე იგი მისი მატერიალური მხარე.

ავიღოთ უმთავრესი დარგი კულტურისა—ტეხნიკა. ყოველგვარ მანქანებს, რომელნიც დღითი დღე უმჯობესდებიან დანიშნულებად აქვთ ჩქარა და იაფად გვიმზადონ ყოველგვარი მასალა და საქონელი (ჩაცმა დახურვისა, სახლკარ საშენებლისა, საჭმელ-სასმლისა და სხვა); ან არიან გართულნი თოფ-ზარბაზნების დამზადებით, რომ რაც შეიძლება მძლავრად შეაიარაღონ ერთი მეორის წინააღმდეგ, გამოაწყონ სამარი გემები როგორც ზღვაზედ, ისე ჰაერში. განა მთელ სამოგზაურო (რკინის გზის, ავტომობილის, ზღვის და ჰაერი ნავი) განვითარებასაც არა აქვს მხოლოდ პრაქტიკული აზრი, რაც შეიძლება ჩქარა ჰგზავნონ აქეთ იქით სხვა და სხვა საქონელი და ომის დროს დიდის სისწრაფით დაუპირდაპირონ მტერს თავისი ჯარი? ტელეფონის, მავთულ და უმავთულო ტელეგრაფის გაუმჯობესობაც ამას ხელს არ უწყობს? მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. ერთის სიტყვით მთელი ტეხნიკის განვითარებას საფუძვლად უდევს მატერიალური სარგებლობა და თუ დაუკვირდებით სხვა დარგებს, დაინახავთ ნათლად, რომ ეხლანდელი კულტურა საშინლად ერთ მხრივია, რომ მისი დედა აზრია — ადამიანის გარეგანი ცხოვრების გაუმჯობესება. ამ უკანასკნელმა შეიპყრო მთლად ადამიანის ცხოვრება, შთანთქა მასში თითქმის ყველა სულიერი მოთხოვნილებანი და დასწია უკან მათი განვითარება. რომ ავიღოთ ევროპიელის, ეგრედ წოდებულ „კულტურულ“ (ქვეყნის მცხოვრებლის) ფსიხოლოგიური მდგომარეობა, იგი მთლად არის მოცული მატერიალურ ცხოვრების ქსელით. მისი სულიერი განვითარება უკან არის ჩამორჩენილი, დავიწყებული. თითქმის მთელი ევროპა სჩქეფს, ღელავს, არ ასვენებს ადამიანის აზრს ამ პრაქტიკულ ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მთელი თავისი ყურადღება მისთვის მიუქცევია.

თუ რომ საშუალო საუკუნოებში მიელაშქრებოდნენ დაეცვათ პალესტინაში ქრისტეს საფლავი, თუ სდგებოდა სხვა და სხვა ორდენები ქრისტიანობის გასავრცელებლად ან მაჰმადიანთა რომელიმე ხალხი მოდიოდა საბრძოლველად. მაჰმადის სარწმუნოების გასაძლიერებლად, დღეს სამეფოების შეხეთქებას უდევს აზრად—დაჭერა რაც შეიძლება დიდი მოედნებისა თავიანთი სავაჭრო საგნების გასავრცელებლად, ჯიბის გასავსებლად, კუჭის დასაკმაყოფილებლად. ავიღოთ ოსმალეთ იტალიის ომი, შარშანდელი საფრანგეთ-გერმანეთის კონფლიქტი მაროკოს შესახებ, მთელი ინგლის-გერმანიის ქიშპობანი. გინდა ყველა ამათ სათავეში არ უდევთ თავიანთი გარეშე ვაჭრობ-მრეწველობის გაუმჯობესობა? (ეხლანდელ [illegible] ომსაც, [illegible] ცველად, უმთავრესად აქვთ მხედველობაში თავიანთი ტერიტორიის გადიდება—მატერიალური სარგებლობა), მატერიალიზმა გაიდგა ფესვები ყველა კულტურულ ერთა და მას კლასთა შორის. მთელი ბრძოლა მის გარშემო ტრიალებს. ერთი სახელმწიფო ებრძვის მეორეს თავის გარეშე ვაჭრობისთვის, ისევე ებრძვის ერთი კლასი მეორეს თავის კერძო ცხოვრების გაუმჯობესობისათვის.

ამ მატერიალურმა ბრძოლამ ადამიანის სულიერ ბრძოლის შეფერხებასთან შეარყია ბევრი წინანდელი საფუძველი. ზოგიერთა „თეორეტიკოსებს“ უნდოდათ დაევიწყებინათ ადამიანისათვის სრული მისი ვინაობა, მაგრამ გაუცრუვდათ იმედი. „პროლეტარიატი მთელის ქვეყნისა“ არ შეერთდა და ვერც შეერთდება, ვიდრე თვით კაპიტალისტურ წესწყობილებას ეროვნული ხასიათი აქვს, ვიდრე მთელ მატერიალურ ბრძოლას ეროვნული ელფერი აქვს. გერმანელი იცავს თავის გერმანიის და არა რომელიმე მსოფლიო ინტერესებს, აგრეთვე ინგლისელი და სხვანი იცავენ თავიანთ საკუთარ ნამავარს, და მასთან ერთად თავიანთ ერის სიამაყეს, მის თავმოყვარეობას. ეს ეროვნული უთანხმოებანი ღრმად სხედან ჯერ ადამიანის ცხოვრებაში. არამც თუ მხოლოდ ერთი სახელმწიფო განირჩევა მეორესაგან თავისის ერით, არამედ თვითეულ სახელმწიფოშიაც იმყოფებიან ერთა სხვა და სხვა ტიპები.

ყველა ამან დაჰბადა ის ანტოგონიზმი, რომელიც სუფევს ეხლა ევროპის და აგრეთვე სხვა ქვეყნების სხვა და სხვა ერთა შორის. ანალოგიურად კლასობრივ ბრძოლასთან ასტყდა ბრძოლა ეროვნულიც, უფლებების დასაცველად. სანამ არ დასცხრება კლასობრივი ბრძოლა მატერიალურ ნიადაგზედ, ვიდრე არ შეიცვლება ეხლანდელი ცხოვრების ბურჟუი პირობები, ისე არ ჩაჰქრება და დღითი დღე გამწვავდება ეროვნული კითხვა, ვიდრე ძველი „კულტურული“ მიმდინარეობა არ მიიღებს სხვა კალაპოტს, ვიდრე თვით მატერიალური ბრძოლა სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის ღამყარებულია ეროვნულ ნიადაგზე...

ბერლინი. **გიორგი მახაბელი.**

სოფლად კახეთში.

(დასასრული *)

სოფ. აკურა.

ამ სოფელში ითვლება 370 კომლი, წინანდალს არ ჩამოუვარდება, ერთი ღონიერ სოფელთაგანია, სხვა-

ჩვენი ბელეტრისტები

ია ეკალაძის შემოქმედება.

(მოთხრობები. ტ. I, 1904 წ.)

II

(შემდეგი *)

თეოც დნებოდა სიყვარულით და ორივენი ნეტარების ბურანში გაეხვივნენ. ენა აღარ ემორჩილებოდათ, მხოლოდ სიცოცხლით სავსე თვალებით ერთმანეთს სულში უძვრებოდნენ... (გვ. 116)... და ასე გამოუთქმელის გრძნობით გატაცებულნი, ხან გულ-ჩვილ ყმაწვილებივით ტიტინებდნენ, ხან ძლიერი გრძნობით აღფრთოვანებულნი, მზად იყვნენ დაეჩოქათ მედიდურის ბუნების წინაშე და ცრემლით შევედრებოდნენ ერთმანეთის დღეგრძელობას. ხან უძლურებივით ოხრავდნენ, ხან კი გმირად გადაქცეულნი თავისს ბედნიერების შემბღალველს ემუქრებოდნენ. (გვ. 117.).

ამასობაში ჩვენ შეყვარებულთ კარგად დაუგვიანდათ. და თუმცა „მათ ამაღლებულ ფიქრებს ბედნიერების მისაღწევად საჭირო ბრძოლა ზედ დართოდა“, მაგრამ დედა ეფემიას მორიდებაც არ ავიწყდებოდათ შეყვარებულებს...

„—წავიდეთ, წავიდეთ, ზურა, თორემ მგონი დედა კბილებს მილესავს“, სთქვა თეომ.

—„წავიდეთ.—ერთხელ კიდევ გაიმეორე თეომ.

—„ეჰ, წავიდეთ, დაბლად უპასუხა ზურამ და დაუმატა: წავიდეთ მაგრამ, თუ ხათრი გაქვს, გულს ნუღარაფერზე აიმღვრევ, რა ვქნათ, რომ არ ესმით, რასა სჩადიან! ცოტა კიდევ მოვითმინოთ და იქნება ბოლო მოეღოს ჩვენს ტანჯვასა. ეს ოხერი მდიდარი მაინც ვიყო, რომ დედიშენის გულიც დამშვიდებული იყოს.

— სსუ! ჩემო იმედო. „სიმდიდრე გულწრფელობაა და ბედნიერების მომნიჭებელი კი სიყვარული და დაუღალავი შრომაო, შენგან გამიგონია“..

აი ასე მსჯელობენ და ფილოსოფოსობენ ჩვენი შეყვარებული გმირნი. მკითხველი თვით შეამჩნევდა გრძნობის ყალბს გამოთქმას, შეუსაბამო, უხერხულ და რიტორიულ კილოს.

ჩვენის აზრის დასასაბუთებლად საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს მოვაგონოთ ის ადგილი მოთხრობისა, სადაც „გაუნათლებელი“ დედა და „განათლებული“ შვილი ერთმანეთს ებაასებიან თეოს დაგვიანების შესახებ. გაბრაზებული დედა ჰკიცხავს შვილს სად იყავიო.

„— სად უნდა ვყოფილიყავ. გგონია ამისთანა უკვდავება ღამეში ამაზე ადრე დაიბუდებს ადამიანი? აბა დახე, რა მშვენიერებაა ეს დაუძინებელი ბუნება“.

დედამ მეხი დააყარა „პენციონში“ გამოზდილ გოგოს ასეთ „მიქარვებისათვის“ და ჩვეულებრივი ნატაციები წაუკითხა. თეომ დედის დასამშვიდებლად შემდეგი სთქვა:

„— აბა რათა ჯავრობ, ჩემო დედა, ხომ გაიგე, რომ შენი აზრისა არა ვარ მაგ საგანზე და გარდა ამისა მე ჩემის ყოფა-ქცევით არავის ცუდს არ ვუშვრები.“ თეოს ამ სიტყვებს დედამ „უბედობა“ უწოდა და მის საქციელს (საღამოთი ყმაწვილებთან ყოფნას) „ალქაჯივით ხეტიალი“ დაარქვა, რომელიც სამარცხვინოა ქვეყნის თვალში.

თეოს პასუხი:

„—მე სრულებით არ ვსცხოვრობ იმისთანებისათვის, ვისაც არც კი ესმის, რას ლაპარაკობს და სრულიადაც არ ვაფასებ იმათ შეხედულობას“.

დედა—შვილის შორის ასეთ უთანხმოება—გაუგებრობის მოთხრობას და აღწერას ბ. ია ეკალაძე შემდეგი სიტყვებით აბოლოვებს: „დედის თავ-მოყვარეობას რწმენა-შეხედულობას და შვილის ურჩობ-წინააღმდეგობას სასტიკი ბრძოლა გაემართად, რომელსაც ეფემია გაევკაცებინა და თეო კი უფრო განემტკიცებინა ხასიათით (გვ. 122.).

თქვენი რა მოგახსენოთ, მკითხველო, და ჩვენზე კი არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს თეოს სახე. ყოველი მისი სიტყვა, მისი მსჯელობა, პასუხი გრძნობის გამოხატვა—შაბლონურია, ბუნებრივობას არის მოკლებული და ზნეობის კოდექსიდან ამოკრეფილ სენტენციას მოგვაგონებს. თეო, ბელინსკის სიტყვებით რომ ვსთქვათ, არის **„семинаристъ въ юбкѣ, съ книжными фразами“.** თეო ისეთ დრამატიულ მომენტშიაც, როდესაც მის სატრფოს ციხეში ამწყვდევენ უდანაშაულოდ; როდესაც ამით მათი ტკბილი ოცნება და ფიქრ-ზრახვა შინაარს ჰკარგავს; მაშასადამე როდესაც მისი ცხოვრების იდეალი თითქმის ჰქრება,—ამ მომენტშიაც გადაჭარბებით მსჯელობს და მართლა „ლათაიებს“ ჰყვება, მშრალ ფრაზებს ისვრის მელოდრამატულის ყოყოჩობით იტანჯება, არ იქცევა ისე, როგორც მოყვარული, გულით წრფელი, „შესმენილი“ და ერთგული ჭეშმარიტი ადამიანი, არამედ ისე როგორც მეორე ხარისხის მსახიობი სცენაზე.

მოთხრობის ის ადგილები, სადაც ავტორი აგვიწერს შეყვარებულთა იმედ-მისწრაფების დამსხვრევას, არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს მკითხველზე, მის გულში არ ბადებს მგრძნობიარებას, თუმცა მისი გონება გმირების მომხრეა.

რომ მკითხველისათვის უფრო ნათელი იყოს ჩვენი შეხედულობა ამოვწერთ სიტყვა-სიტყვით მოთხრობის რამოდენიმე ადგილს:

„ბედნიერნი იყვნენ თეო და ზურა ბედნიერნი. ზურას დაჩაგრულმა გულმა (რითი? ამას ავტორი არ გვეუბნება) გამამხნევებელი და დასასვენებელი ნავთსაყუდელი ჰპოვა... თეო ხომ ნეტარებით დნებოდა, რადგანაც იმანაც ჰპოვა თვისი აზრების შესაფერი ადამიანი, ჰპოვა ნამდვილი მუშა კაცი (სად გამოიჩინა ეს თვისება?) რომელზედაც ხშირად ოცნებობდა... სოფლელებიც აღტაცებით მიეგებნენ თეოს და ზურას დანიშვნის ამბავს და უხაროდათ ორი მათთვის თავდადებული (რა საქმეში?) ადამიანი „გაბედნიერდნენ“.

—„გათავებულია, გათავებული ჩვენი საქმე, სიხარულით უთხრა ერთხელ თეომ ზურას, არამც თუ ერთი და ორი, მთელი ქვეყანა რომ ამხედრებულიყო, ჩვენი განშორება შეუძლებელი იყო. ჩქარა დავიწყოთ ერთად ცხოვრება და ყველას დავანახვოთ, რომ მედგარი შრომა და თავგანწირული ურთი-ერთობა ყოველის კეთილის შემძლებელია“! აღტაცებით დააბოლოვა თეომ, წელში გასწორდა და ამაყად შემოავლო თვალი მიდამოს, თითქოს უნდა აგრძნობინოს თვით ბუნებასაც კი, რომ მისგან შექმნილი, სუსტ არსებათ წოდებული დედა კაცი, მართლა ისეთი სუსტი არ არის, რომ საზოგადო ცხოვრებაში თავის წვლილის შეტანა არ შეეძლოს და თვისი მოვალეობა არ აღასრულოს.

თეოს ვაჟკაცურმა გამომეტყველებამ, მის ცეცხლით აღგზნებულმა შავმა თვალებმა ზურას გულშიც ცეცხლი დააკვესა და აღტაცებით გადაეხვია საყვარელს არსებას.

— მომეცი, მომეცი ხელი, შეერთებულის ძალით გავსწიოთ ეკლიან გზაზე, მედგრად მიუშვიროთ გული წუთი-სოფლის ქარტეხილს, ვიბრძოლოთ იმდენს ხანს, ვიდრე ჩვენი მოსიყვარულე გული მკერდ ქვეშ გვიცემდეს, გავსწიოთ წინ უმანკო სიყვარულით აღჭურვილებმა: და სიყვარული დედაა ყოველგვარის სათნოებისა.

— სიყვარული ყველა გაჭირვების მძლეველია, დაუმატა თეომ და ისე მაგრა ჩასჭიდა ხელი ზურას, თითქოს ეხლავე უნდა წაიყვანოს საბრძოლველადო.

— დიახ სიყვარული დიდი ძალაა, ჩამოართვა სიტყვა ზურამ, და ჩვენც დავძლევთ ყოველგვარ გაჭირვებას, მაგრამ ჩვენი სიყვარული ქალაჩუნობაში არ უნდა გამოიხატოს. დღეს რომ ჩვენ ბედნიერები ვართ, ვეცადოთ სხვასაც შეუმსუბუქოთ თავისი მწარე ბედი. ჩვენ დაგვაახლოვა ხალხზე ლაპარაკმა (სწორედ მხოლოდ ლაპარაკმა!) და მოდი ისევ იმ ხალხისთვის ზრუნვა იყოს ჩვენი სიყვარულის თავდები. ხედავ იმ მშვენიერს და მდიდარს ბუნებას? ისეთი ლამაზია, ისეთი დიადი, მკვდარსაც სულს ჩაუდგამს, მაგრამ ჩვენი სოფლებლეის ცხოვრება გამწარებულია, შეუბრალებელ ისტორიის ქარტეხილს დაუძაბუნებია, უვიცობის წყვდიადში გაუხვევია. აი მაგათ უნდა შევსწიროთ ჩვენი მცირე ცოდნა. მაგათ გაგვზარდეს და მშობელს ამაგი უნდა გადაუხადოთ, შევსწიროთ ჩვენი სიცოცხლეც, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვს. მხოლოდ ერთი რამ გვაქვს საკუთარი და იმითი კი ჩვენ უნდა ვისარგებლოდ—ეს არის ჩვენი სიყვარული ჩვენი კავშირი... მართლაც და რა არის ბედნიერება, თუ არა შეურყეველი ურთი-ერთობა და მოძმისათვის თავის დადება?

— ოღონდაც, ჩემო იმედო, ოღონდაც! კვერს უკრავდა თეო. ამ დროს მართლა ისეთი ბედნიერები იყვნენ, რომ მათის სულის კვეთების გამოსახატავად ფილადის კალამი არა კმარა, ამის გასაგებად გულია საჭირო გული წმინდა გრძნობით და ტკბილის იმედებით აღსავსე“ (გვ. 131—132).

ეს ამონაწერი კარგია, ძრიელ კარგი, როგორც მსჯელობა, როგორც აზრი, როგორც საზოგადოებრივი და პოლიტიკური შეხედულება, როგორც ცხოვრების ადგილი—და სუყველაფერი ეს გამოთქმულია. მაღალ ფრაზებით, კარგის ენით, პაფოსით, გატაცებით, მაგრამ ამავე დროს უშნოა, ულაზათო, გულის ამღვრევი, როგორც ხელოვნური ნაწყვეტი, როგორც ნაყოფი, შემოქმედებისა, როგორც დასურათხატება! ეს ადგილი, ჩვენის აზრით, კლასიკური ნიმუშია მთელ ჩვენს ლიტერატურაში პოეტის მშრალი პუბლიცისტობისა და საუცხოო მაგალითს გვაძლევს იმისას, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ხელოვნური ნაწარმოები! ჩვენმა ავტორმა, რათა უფრო ნათლად დაეხატა სიმპატიური სახე „შეგნებული“ ქართველ ახალგაზრდა „პენციონში“ გამოზდილ ქალისა და მკითხველისთვის ეგრძნობინებინა სისაღე და აზრიანობა მისი სურვილ-მისწრაფებისა, გმირი ქალის მოპირდაპირედ გამოიყვანა მისი დედა. ცხადად სჩანს, რომ ავტორი არ თანაუგრძნობს დედის რწმენას, შეხედულობას, ხასიათის და ნების მიდრეკილებას და გულით მონდომებულია რაც შეიძლება მუქს და თითქმის შავის საღებავით დახატოს მისი სახე. გაუნათლებლობა, შეუგნებლობა, ცხოვრების მდარე, დაბალი ადგილი, ქირვეუ-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 737.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 39.

თა შორის კარგი სამუშაო საქონელი ჰყავთ. აკურაში სულ სახელმწიფო გლეხები სცხოვრობენ. სოფელი მდიდარი არ არის, მაგრამ ვერც ისეთ ღარიბებს ჰნახავთ, როგორც სხვაგან. ერთმა გარემოებამ კი ძალიან დამაფიქრა. ამოდენა სოფელს ერთი სკოლაც კი არ მოეპოვება, რომ გლეხის შვილთა მცირე ნაწილმა მაინც ისწავლოს ან-ბანი. იყო კი ასეთი სკოლა და... დაიკეტა... სოფელმა რომ შეშა, ნავთი და მოსამსახურე მისცეს ადვილია სკოლის გახსნა, მართალია, პირველში მოუხდებათ ერთდროულად ცოტაოდენი ფულის გაღება შენობისათვის, მაგრამ არც ამაზე იტყვიან უარს, მხოლოდ ჩაგონება და ახსნა უნდათ. აკურას გულშემატკივარი, რომ ხმა ამოიღოს არავინ არა ჰყავს, სულ გლეხები სცხოვრობენ. ამისათვის ეს საქმე უნდა იკისროს ისევ ამ სოფლის ახალგაზრდა მღვდელმა ლავრენტი გუგუტაშვილმა, თორემ ჩემის აზრით, ცოდვად ჩაეთვლება ასე გულცივად ყურება, როცა მას შეუძლიან საქმის მოგვარება...

ს. ვაჩნაძიანი.

იმ ღამეს აკურაში მომიხდა ღამის გათევა, მეორე დღეს ვაჩნაძიანზე გავიარე. ჩემი ყურადღება, სხვათა შორის, მიიქცია ერთმა შენობამ, ვიცოდი ბიბლიოთეკისთვის აშენებდნენ საკუთარ სახლს იმ მიწაზე, რომელიც თავ. ჯანდიერმა შესწირა. მაშინვე გზას გადაუხვიე, მივედი ახლოს, დავაჩერდი, თითქოს უსულო კედლებიდან მინდოდა ამომეკითხა რასა ჰპირდებოდა ეს შენობა სოფელს და რის მიცემა შეეძლო მას. შენობა შეიცავს ორ ოთახს და აივანს. სადურგლო და აკლია. ამ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, კნ. ს. ჯანდიერისამ, როგორც ყოველ წელს ამ ზაფხულსაც გამართა წარმოდგენა, რომელსაც კარგა ჩაევლო შემოსვლის მხრივ..

ბიბლიოთეკა სამკითხველოების წინააღმდეგი ვინ იქნება და მე-კი ამ შენობას რომ ვათვალიერებდი ერთმა გარემოებამ ჩამაფიქრა. შენობაზე რამდენი ენერგია იხარჯება, საქმის მოთავენი გულმოდგინედ მუშაობენ, მათი მეცადინეობით მალეც დამთავრდება და ვაი თუ ამოდენა ცდამ უნაყოფოდ ჩაიაროს. ეს ასეც იქნება აი რათა. ვაჩნაძიანში სკოლა არ მოიპოვება, სოფლელნი უვიცნი არიან, არ იციან წერა, არ იციან კითხვა და მაშასადამე ამ ბიბლიოთეკასაც ვერაფრად გამოიყენებენ და გაზეთები მათთვის იმ მარგალიტს წარმოადგენს, რომელიც ერთხელ მამალმა იპოვა. აი ამ გარემოებას უნდა გაუწიონ ანგარიში ამ სოფლის გულშემატკივართ, უნდა მოიფიქრონ და ბიბლიოთეკის მაგიერ ამ შენობაში ჯერ-ჯერობით სკოლა გახსნან, რომ სოფლის გლეხის შვილთ ჯერ წერა-კითხვა ისწავლონ. სკოლას ბიბლიოთეკა უნდა მოჰყვეს, და არა მეორეს პირველი...

სოფ. კალაური.

აი ერთი ჩამორჩენილი სოფელი ქვემო მხარეს. რიცხვით დიდია 350 კომლი ითვლება, ხოლო ნივთიერ-ქონებრივად სხვა სოფლებზე დაბლა სდგას, მაგრამ ამ სოფელს დიდი მერმისი აქვს ამ ჟამად ჭირ-ვარამში მყოფმა, იქნება შემდეგ რაიმე სიკეთე ნახოს. სახელდობრ, კახეთის რკინის გზის სადგური ამ სოფლის ბოლოში კეთდება სულ 5 10 წამის სავალზე, აგრეთვე ვაჩნაძიანიც გვერდზე აკრავს ამ სადგურს. ამ გარემოებამ ისე მასიამოვნა, რომ გადავწყვიტე თვით იმ ადგილის ნახვა. აბა სოფელში ვის მიმართავ თუ მღვდელს ან დიაკვანსა არა და მეც ეკლესიისკენ გავწიე, მაგრამ მათ არა სცალოდათ, კვირა დღე იყო და წირვა ედგათ. ეკლესიიდან გალობის ხმა მომესმა, ამან ცოტა გამაკვირვა და შევედი. მედავითნე დ. ლ. კალატოზიშვილის ლოტბარობით გუნდი მწყობრად გალობდა ამ სოფელში მღვდლობს მ. უნაფქოშვილი. ამ გალობამ და გაბრწყინვალებულმა წირვამ ჩვენი თელავის ეკლესიების კრებული მომაგონა, რომლის მსგავს ვერსადა ვხედავთ, მაგრამ ესენი მაზე უფრო ზრუნავენ, რომ ეკლესიის გარეშე რაიმე ადგილი იშოვნონ.

სადგურის ადგილი დავათვალიერე, იგი როგორცა ვთქვი კალაურს ზედ აკრავს, აგრეთვე ვაჩნაძიანსაც, რისთვისაც სადგურს ამ უკანასკნელის სახელი ეწოდება. სადგურის აშენება დიდ იმედებს უღვიძებს არა მარტო ვაჩნაძიანს და კალაურს, არამედ შაშიანს, ურიათუბანს, და აკურას, რომლებიც აგრეთვე ახლო არიან. ამ ადგილის დათვალიერების შემდეგ, რამდენიმე სოფლელი შემხვდა და საუბარი გავმართეთ. განვუმარტე რამდენად სასარგებლოა რკინის გზა და განსაკუთრებით მათთვის სადგურის სიახლოვე, მაგრამ დაღონებულებმა მიპასუხეს, ჩვენც სწორედ მაგისთვის გვიხაროდა, ასეთი სიტყვები სხვებისაგან გვესმოდა, მაგრამ ლამის არის ეხლა იმედი გაგვიცრუვდეს, მომავალი მოგვესპოს. ამბობენ წინანდლის და მუკუზნის საუფლისწულო მამულების გამგეობა თხოულობს და ფულსაცა სდებს იქ გაკეთდეს სადგური და თუ შეიწყნარეს, მაშინ კალაურს ასცდება. ჩვენ რომ პატრონი და ხმის ამომღები გვყავდეს კარგია, მაგრამ ჩვენთვის ვინ აიტკივებს თავსაო. ამ სიტყვებმა მეც ჩამაფიქრა და ეს მით უფრო გაორკეცდა, რომ საშუალება ვერ ვპოვე იმედი მიმეცა. სიჩუმე ისევ მათ დაარღვიეს, თ. ლევან ჯანდიერის (ვაჩნაძიანის მემამულეა) იმედი გვაქვს და არ ვიცით ყურადღებას მოგვაქცევს თუ არაო...

ს. შაშიანი.

შაშიანი თითქმის კალაურის გაგრძელებაა, მხოლოდ ერთი პატარა „წილიანად" წოდებული ღელე ჰყოფს. სოფელში 336 კომლი სცხოვრობს, გლეხებს გარდა 30 კომლი აზნაურიშვილები—რცხილაძიანი, მაგრამ უმრავლესობა ამათგანი გასულ-გამოსულია და ზაფხულობითაც არა ბრუნდებიან სამშობლოში, ამას იმიტომ ვამბობ, რომ მათი ზრუნვა მათ სოფლის კეთილდღეობაზე არ ეტყობათ. შაშიანის ჭირისუფლობა ისევ ამ სოფლის მღვდელ თ. ასათიანს რგებია. სამრევლო სკოლა არსებობს, მის გაფართოებას უკვე აპირობს მ. ასათიანი, ეხლაც ბევრნი სწავლობენ, მაგრამ ამაზე შემდეგ. შაშიანს და ურიათუბანს წვრილი კრედიტიც დაუარსებიათ. ეს ორი სოფელი მ. ასათიანის და ზ. ბრაგვაძის მეთაურობით ბიბლიოთეკის დაარსებაზედაც შუამდგომლობენ წ. კ. თელავის განყოფილების წინაშე.

ს. ურიათუბანი.

ეს სოფელიც შაშიანის გაგრძელებაა, როგორც შაშიანი—კალაურისა და ეს უკანასკნელი—ვაჩნაძიანისა. ეს ოთხი სოფელი ისე მჭიდროდ არის ერთმანეთზე გადაბმული, რომ თითქმის არაფრით განირჩევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარა რამდენიმე საჟენის სიგანე ხევებს, რომელიც ვითომ და ჰყოფს ერთი მეორისაგან. ოთხივე სოფელი ერთ დიდ სოფელს წარმოადგენს და ბევრი საქმის გაკეთებაც შეეძლოთ ერთად რომ მოქმედობდნენ ან სწორედ რომ ვსთქვათ მოქმედობა რომ შეეძლოთ, მაგ. სამეურნეო სკოლის დაარსება, საკვირაო სკოლის გახსნა, კითხვების ან წარმოდგენების მოწყობა, მაგრამ ვინ არის პატრონი, ვინ არის გულშემატკივარი, რომ ასეთ საქმეებისთვის თავი გამოიდოს და რაც თვითეულ მათგანში კეთდება დღეს იმასაც უნდა ვუმადლოდეთ...

ურიათუბანში 530 კომლი ითვლება და შეძლებული სოფელიცაა; ერთი სამინისტრო სკოლა არსებობს ორი მასწავლებლით, სკოლას საკუთარი შენობა აქვს და ყოველ წელს მოსწავლეთა რიცხვი იმდენია რომ ბევრს უარს ეუბნებიან, მცხოვრებთ არ გაუჭირდებათ ერთი ორ კლასიან სკოლის შენახვაც, რომ მოინდომონ, შეძლებაცა აქვთ, მაგრამ აქვე ხომ სამრევლო სკოლა არსებობდა და... დაიკეტა...

გლეხის გარჯა-მუშაობა.

წერილი მეტად გაგვიგრძელდა მაგრამ ერთ გარემოებაზედაც მივაქცევ მკითხველის ყურადღებას. რამდენიმე დღე დავყავი სოფლად და ვცდილობდი მთელი ეს დრო სოფლელთა შორის გამეტარებინა, ჩამეხედნა მათ ტანჯულ გულში და ცოტა მაინც გამეგო მისი საიდუმლოება. ყველა სიამოვნებით მინაწილებდა დროს, მომეტებულ ნაწილად ლაპარაკობდნენ თავიანთ ჭირ-ვარამზე, აუტანელ მუშაობაზე და უგემურ ცხოვრებაზე. ღამეც-კი მოსვენება არა გვაქვს, როცა ყოველი სულდგმული ისვენებსო, დამიწყო ერთმა მოხუცმა. მე ეს გადაჭარბებულად მეჩვენა. ძილი რაღაა, მაგასაც ხომ ყიდვა არ უნდა, დაიძინეთ ვინ გიშლით მეთქი—გულუბრყვილოდ გამოვეპასუხე, მაგრამ ჩემი სიტყვები სიცილად არ ეყოთ. განა გვიშლის ვინმე—ჩამოართვა სიტყვამ მეორემ—მაგრამ სადა გვაქვს დრო, სამუშაო ვენახ-მინდორი შორსა გვაქვს, სოფლის ბოლოზე 5—10 და მეტ ვერსის მანძილზე, ჩასვლას დრო უნდა, ამისათვის ისეთ დროს უნდა წავიდეთ, რომ გათენებისას ადგილზე ვიყოთ და მუშაობა დავიწყოთ. ამისათვის ყოველთვის შუაღამისას ვდგებით და ძილს გზაში ვისრულებთ, ესე იგი გვძინავს და ისე მივდივართ ბარბაცით. მაინც **სიარულში ძილს** არ დავიჯერებდი, რომ მეორ-მესამე სოფელში არ დაედასტურებინათ ზემო ნათქვამი.

ჩემი დასკვნა. სოფლის გასაცნობად და მცხოვრებთა დასაახლოვებლად ორი-სამი კვირა არა კმარა, მაგრამ ესეც საკმარისია ერთხელ—კიდევ ცხად ვყო, რომ ჩვენი სოფელი არც ისეთი ველურია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. იგი მომზადებულია გათვითცნობიერების გზაზე დასადგმელად, სამკალიც ბევრია და მომკელიც შეხვდება ნაყოფიერ ნიადაგს, მაგრამ ვაი რომ ეს მომკელი არსადა სჩანს, ვაი, რომ იგი ძალიან შორს გაურბის, ვაი რომ მათი რიცხვი ისე ძრიელ მცირეა, რომ მათ მოქმედობას ისეთი ნაყოფი ვერ მოაქვს, როგორც შესაძლებელი იქნებოდა ასეთ რიცხვის გამრავლების შემდეგ... **დავიწყებული.**

მოწერილი ამბები

ლანჩხუთი. ამას წინად ბ. ი. გაბილაიამ აქ წაიკითხა ლექცია კოოპერაციაზე. ლექციას ხალხი ბლომად დაესწრო და ისე მოეწონა, რომ მზად იყვნენ, იქავე, ლექციის შემდეგ ჩაწერ-ილიყვნენ წევრებად და შეედგინათ ამხანაგობა, მაგრამ რაღაცა მიზეზისა გამო მაშინ ვეღარ მოახერხეს. წავიდა ლექტორი და საქმეც ჩაჰქრა... დღესაც ჩამქრალია ასეთი დიდად სასარგებლო საქმე.

აქ არსებობს: სამოქალაქო სასწავლებელი სავაჟო. ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომლისთვისაც საკუთარი მოზრდილი შენობაც (ორ სართულიანი და ცამეტ ოთახიანი) უკვე დაიწყეს ლანჩხუთლებმა, სამრევლო ორ კლასიანი საქალებო სასწავლებელი და ეხლახან გახსნილი ქალთა კერძო პროგიმნაზია ქ. კ. ფხაკაძისა. ამათ გარდა არსებობს: სამმართველო, სასოფლო სამკურნალო ღარიბთათვის და უფასო სამკითხველო. ამ უკანასკნელში ჯერ-ჯერობით მარტო ქართულ-რუსული გაზეთები მოდის.

ლანჩხუთი განათებულია გაზის ფარნებით, რომელიც ათასი მანეთი დაჯდა.

ლანჩხუთს აკლია სათეატრო შენობა, თუ რასაკვირველია მხედველობაში არ მივიღებთ ამ-[illegible] რომელშიაც ამ ზამთარში იმართებოდა წარმოდგენები, და რომელიც ზამთარში მეტის-მეტად ცივია.

4 ნოემბერს აქ იმართება ლიტერატურული გასამართლება „გიორგი სააკაძისა". კარგს იზამენ მისი გამმართველნი, რომ ცოტაოდენ წვლილს მაინც გადასდებდენ სათეტრო შენობის ასაგებად. **ალიმანი.**

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

ბულგარეთის მხრით

სოფია. მოვიდა კიდევ რუსეთიდან ორი სასანიტარო რაზმი. გაზეთი „მირი" გვატყობინებს, რომ 31 ღვინობისთვეს ოსმალები ადრიანოპოლიდან ბულგარეთის ჯარზე თავდასხმას აპირებდნენ. ბულგარებმა ოსმალები უკუაგდეს.

სოფია. რუსეთის ელჩის ცოლმა ბულგარეთის „წითელ ჯვარს" შესწირა 1000 დოლარი. შემოწირულება მისდის ბულგარეთის წითელ ჯვარს სხვა და სხვა ადგილიდან.

სოფია. კარნი მცხოვრებმა 150.000 ფრანკი შესწირა დაჭრილთ და დახოცილთა ოჯახების სასარგებლოდ. დანევი დაბრუნდა.

სერბიის მხრით.

უსკიუბი. მემკვიდრე ალექსანდრე პრილეპში მივიდა. იქიდან ჯარით მონასტერისკენ გაემართა.

მონასტერში ოსმალეთის ჯარი სერბიელებით გარშემორტყულია. მონასტერში იმყოფებიან კორპუსის უფროსები: ზეკი-ფაშა, კარა-საიდ, ჯავიდი, ფეხტი-ფაშა. ოსმალებმა წინადადება მისცეს სერბიელებს ქალაქი აეღოთ, მხოლოდ შიგ მყოფი ჯარი გაენთავისუფლებინათ. სერბიელები არ დასთანხმდნენ.

საბერძნეთის მხრით.

ათინა ზაგორის ოლქი ოსმალების და ალბანელების ხელშია. ყველგან შიშის ზარს სცემენ. სოფლები აწიოკებულია. ბავშვები და ქალები მთიან მთებში არიან გახიზნული და შიმშილით კვდებიან. ოსმალებმა ეპირი ცეცხლსა და მახვილს მისცეს. 6000 ბავშვი და ქალი დამწვარ სოფლებიდან გახიზნულნი ბალახით ჰსულდგმულობენ.

ათინა. ოდოსესის გენერალ ელჩი ინიშნება ბელგრადში ელჩად. კონსული ცეტინიეტი ევგენიადისი—იქვე ელჩად ინიშნება.

ათინა. საპუნხაკისი ტელეგრაფით იტყობინება, ბერძნებმა ქალაქი მეტსევონი აიღეს.

ჩერნოგორიის მხრით

ცეტინიე. ჩერნოგორელებმა სკუტარის სროლა აუტეხეს. ოსმალეთის არტილერია ძლიერ შესუსტებულია. ჩერნოგორელებს ექიმები და სანიტარები საკმაოდ ჰყავთ.

ოსმალეთი.

სტამბოლი. ოსმალეთის სააგენტო გვამცნობს, რადგანაც სახელმწიფოთა მიერ თხოვნამ შუამავლობის თაობაზე ნაყოფი არ გამოიღო, გადასწყვიტეს პირდაპირ მებრძოლ მხარესთვის მიემართათ.

სტამბოლი. 28 ღვინობისთვეს მთავარ ბინიდან მოვიდნენ პორტაში მოსალაპარაკებლად მაჰმუდ-მუხტარი და თურგუთ-ფაშა. ხმებია ვითომ მაჰმუდ-მუხტარს ჰნიშნავენ მთავარსარდლად ნაზიმის მაგიერ, რომელსაც უმოქმედობას აბრალებენ.

დაჟინებითი ხმებია ადრიანოპოლის აღების თაობაზე.

შეიხ-ულ-ისლამის პროკლამაცია, საცა სამღვთო ომისკენ მოუწოდებს ოსმალეთის ხალხს, რამდენჯერმე გადააკეთეს, რათა ევროპას საწყენად არ დარჩესო.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

ლონდონი. ყველა სახელმწიფო მიემხრო ოსმალეთის აზრს, რომ საჭიროა შუამდგომლობაზე მოლაპარაკება აღიძრას თვით ბალკანეთის სახელმწიფოებთან.

ბერლინი. ექვს დიდს სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ათინაში, ბელგრადში, ცეტინიეში და სოფიაში მიიღეს ერთგვარი ინსტრუქციები, ნიშნად საზავო მოლაპარაკების დაწყებისა.

ცეტინიე. პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება: ავსტრია-უნგრეთის და იტალიის ელჩებმა ცეტინიეში განაცხადეს, რომ ჩერნოგორია და სერბია ტყუილად ჰფიქრობენ მედუის და ალექ-

---

ლობა, დესპოტიზმი და ხასიათის სიხეპრე—აი რას იწუნებს ეფემიაში ია ეკალაძე. ავტორი გადაჭრით, დაუფარავად გვეუბნება, რომ „ეფემია როგორც გამოცდილი", მაგრამ უმეცრებით გარემოცული, ადამიანის ღირსებას სმა-ჭამითა და ჩაცმა-დახურვით აფასებდა"; რომ მას „სულით სწამდა, რომ ქალის უმთავრესი ღირსება—დანიშნულება კეკლუცობაა" (გვ. 123); რომ ცდილობდა თეოსთვის, ვინმე „ნასწავლი, ქვაიანი" კაცი მოეძებნა და მალე დაებინავებინა, ეშინოდა შვილი „კომპოსტოსავით სახლში არ დამჟავებულიყო"... გვ. (424) რომ... მაგრამ უმჯობესია ეფემიას დახასიათება მოთხრობიდან სიტყვა-სიტყვით ამოვსწეროთ. „...ეფემია კეთილაძისა გახლდათ ერთი ჩვენებური, ძველებური მანდილოსანი და მერე ისეთი, რომელიც აქამდისაც ვერ შერიგებია ძველებურ ჩვეულებათა შერყევას და რომელიც „ყოველ ახალში" გარყვნილების და კუდიანობის მეტს არას ხედავდა. იგი იყო საშინელი ანჩხლი და მეტის მეტი ცრუმორწმუნე.

ეფემიამ თავის სიყმაწვილე შვილებს შესწირა, ეგონა უფროსის მორჩილებაში და სარწმუნოებაში ავზარდეო. მაგრამ მოსტყუვდა. შვილები აგრე რიგად არ ემორჩილებოდნენ და დედას ბატონყმობის ადამიანს ეძახოდნენ. ვაჟებისაგან კიდე ითმენდა... მაგრამ ვერ ითმენდა თავისუფალ ლაპარაკს თავისს უკვე გასათხოვარ ქალიშვილ თეოსაგან, რომელიც „რაღაც ეშმაკად" სასწავლებელში გამოზარდა (გვ. 114).

მართლაც, ვინც ამ დახასიათებას წაიკითხავს, თავდაპირველად მას ეფემია რაღაც ცხოვრების ხორც მეტი ყოველივე კარგის და პატიოსანის მოწინააღმდეგე პირად ეჩვენება. მაგრამ თუ ჩაუკვირდით ხასიათს ეფემიას შვილებთან უთანხმოებისას და მის მსოფლ-მხედველობას, მაშინ ეფემიას სახე ზიზღს არ გამოიწვევს მასში, პირ-იქით ზოგიერთებს კიდეც გაამართლებს. ჩვენც ბუნებრივად და სამართლიანად მიგვაჩნია ზოგჯერ მისი გულის წყრომა. ეფემია ისეთი ცოცხალი, ბუნებრივი, ჩვენის ცხოვრების სიღრმიდან ამოღებული და გავრცელებული ტიპია, რომ ია ეკალაძემ ვერ შესძლო, თუმცა სიტყვებით კი ცდილობდა მას საზიზღრად დახატვა: მან ვერ წაართვა ეფემიას ადამიანობა, ვერ გამოიყვანა მთლად უარყოფითა ტიპად. გონებით ავტორს სურდა ეფემიას დამცირება, დამხობა, მაგრამ მისმა მხატვრობითმა ნიჭმა, რასაკვირველია შეუგნებლად, ნება არ მისცა ნამდვილი და ცოცხალი ტიპი დაემახინჯებინა. სხვისი რა მოგახსენოთ, და ჩვენ კი ეფემიას პიროვნებამ, მისმა სიტყვა-პასუხმა, წყევლა-კრულვამ, სოფლ-მხედველობამ უფრო მეტი ესთეტიური სიამოვნება გვაგრძნობინა, უფრო გულს მოგვხვდა მისი ჩივილი და ცხოვრების ვითარებაში ჩაგვახედა, ვინემ თეოს და ზურას სახელმძღვანელოებიდან და ფელეტონებიდან ამონაკითხმა მსჯელობამ და რეზონიორობამ. თუმცა კი ამავე დროს ნათლად ვხედავთ მის ნაკლულევანებასაც. ცნობილია, რომ მხატვრულად და ხელოვნურად დახატული სახე საზიზღარის ავაზაკისა და დამნაშავისაც ისეთივე ესთეტიურს, ხაზს ვუსვამთ, **ესთეტიურს** კმაყოფილებას გვაგრძნობინებს, როგორც იდეალური სახე სათნოიანი გმირისა... ულაზათოდ, არა მხატვრულად დახატული სახე ყოველივე სათნოებით და ღირსებით შემკულ გმირისა კი გულს გვიმღვრევს და მისი შესწავლით არავითარ ესთეტიურ კმაყოფილებას არ განვიცდით. ასეთია თავისებურობა ხელოვნებისა და ესთეტიკისა!

ჩვენ შედარებით დაწვრილებით გავარჩიეთ რამდენიმე მოთხრობა ბ. ია ეკალაძისა იმ მიზნით, რომ მკითხველისთვის გვეჩვენებინა მწერლის შემოქმედების ხასიათი.

მომეტებული ნაწილი ია ეკალაძის დანარჩენი მოთხრობებისა გარჩეულ მოთხრობების ხასიათის და ელფერისაა: ზოგი მათგანში სჭარბობს მსჯელობა, პუბლიცისტიკა, რიტორიკა და ამისათვის მოკლებულია ბუნებრივ მიმდინარეობას; ზოგში კი ნამდვილ პოეზიით აღსავსე ადგილები მეტია. ჩვენ აქ მოკლედ მაინც შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

„აღდგომის ღამე" პატარა ესკიზია. აქ ავტორს განუზრახავს დახასიათება ქალის გულის და სიყვარულის გრძნობის ცვალებადობისა. ერთ დროს ანანო ოქროს სიყვარულით დნებოდა და იდაგოდა, და კიდევაც გაჰყვა მას. მაგრამ ჩქარა გული შეეცვალა და რამოდენიმე ხნის შემდეგ ქმრის სულთამხუთავი გახდა. ოქრო იტანჯება, რადგანაც მის ოჯახში ჯოჯოხეთია. ერთს აღდგომა ღამეს „ცხოვრების უკუღმართობით გულნატკენი, ცოლის ფუქსავატობით დაჩაგრული ოქრო მისცემოდა ქრისტეზე ფიქრს (გვ. 172) ბევრი იფიქრა ცხოვრებაზე, უსამართლობაზე, ადამიანის გაფუჭებულ ხასიათზე, ჭეშმარიტებაზე და... და ჩაეძინა. „ოცნება სიზმრად გადაექცა და იგიც იერუსალიმში მოექცა"... სიზმარში ნახა ქრისტეს წამება და... მერე აღდგომა...

„ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა. გაიძახოდა მიმავალი ხალხი და აჩქარებით საყდარში მიეშურებოდა, ქალაქის საყდრების ზარები განუწყვეტლად რეკდნენ და ტფილისს ერთი ღრიანცელი შესდგომოდა.

გულ გახეთქილი ოქროც წამოხტა ფეხზე. ყველაფერი გაითვალისწინა, შეკრთა, ერთხან შეყოყმდა და მერე ალტაცებული გამოიჭრა მეორე ოთახში, რომ წაჩხუბებულ და გაკაპასებულ ცოლს შერიგებოდა, შენდობა ყოველისფერი და მისგანაც შენდობა მოეთხოვნა. მართლა მარტო ჭამასა და ჩაცმა დახურვისათვის ხომ არ არის „აღდგომა". იგი სულით აღდგომის და განსპეტაკების დღეა!

— ქრისტე აღსდგა ანანო! ანგარიშ მიუცემლად გაიძახოდა ოქრო და თვალებით ცოლს ეძებდა. ანანო კი დიდი ხანია ლიტანიაზე წასულიყო. ოქრო გიჟივით გამოვარდა გარედ, მახლობელ ეკლესიას მიაშურა. მაყურებელი ხალხი შემოხვეოდა საყდარს და მთლად გალაპლაპებული მშვენიერს სანახაობას წარმოადგენდა. ოქრომ საჩქაროდ გაარღვია ხალხი, ელვასავით მიირბინ-მოირბინა და როდესაც ცოლი დაინახა, ალტაცებით მიაძახა: ქრისტე აღსდგა, ჩემო სულიკო!

ანანომ ხმა არ გასცა, მხოლოდ ალმაცერად შეხედა და ნათლად აგრძნობინა, რომ მასზე ისევ გაჯავრებული იყო.

ახლა კი მთლად ჩაიფუფქა საბრალო ოქრო, ცოლის გულცივობამ უკანასკნელ ალტაცებისაგან გამოიყვანა, გაფანტვით მიმოავლო თვალი იქაურობას, მაგრამ ყველა უცხოთ მოეჩვენა და რომ ვერას გახდა, სანუგეშებლად პირჯვარი დაემხო მაცხოვრის ხატის წინ.

ამ ჟამად ეს იყო მისი ნუგეშის მცემელი, მისი ნავთ-საყუდარი და ვინ იცის მერე რა დაემართებოდა"!.. (გვ. 173—174).

ეს პატარა მოთხრობა რომ განვათავისუფლოთ ალაგ-ალაგ უხერხულად ჩართულ მსჯელობისაგან, რამოდენიმედვე შევასუსტოთ გაზვიადებული პაფოსი და მივსცეთ მთელს შინაარს ბუნებრივი და სადა მიმდინარეობა, მაშინ „აღდგომა ღამეს" მშვენიერი კოპწია ფსიხოლოგიური ეტიუდი გამოვიდოდა...

„დაუდეგარიც" (წერილი მეგობართან), როგორც ხელოვნური ნაწარმოები, სუსტია. ის იდეა, რომელიც შეადგენს შინაარს ამ მოთხრობისას, თავის-თავად, როგორც აზრი, თავიდან ნაშობი, სიმპატიურია (პირადი თავისუფლებისათვის და ჭეშმარიტებისათვის ბრძოლა); საპუბლიცისტიკო თემად ის მშვენივრად გამოსადეგია; მაგრამ როგორც პაფოსი ხელოვნურ ნაწარმოების, ის თავისებურობას და ორიგინალობას მოკლებულია. — გმირი ამ მოთხრობისა, როგორც სხვა ავტორისაგან იდეალურად განზრახული გმირებიც, უსისხლხორცოა.

— ღეკანოზის ქალიშვილს და „ბლადოჩინის" ქვრივს „ლეჩაქის ყურით გამოუყვებია", „წვით და დაგვით" გამოუზრდია თვისი შვილი. მერე მას, როგორც იყო, სამსახური უშოვნია და „ღვთისაგან მოცემული ერთი ლუკმა პური გაჩენია საბრალო ქვრივ-ოხერს. რამოდენიმე ხნის შემდეგ შვილს „წანკლიანი ენისათვის". „აბურაგანი ამოაკრეს" თურმე და მშიერი დასტოვეს. შვილმა არც აცივა, არც აცხელა, მოვიდა მშიერ და ღატაკ დედასთან და სარჩენლად თავს დააწვა. ის ცხოვრობს საწყალ დედის ხარჯით და ამნაირად წვადაგვით ნაშოვს ლუკმა პურსაც აცლის. ამავე დროს კი თადეოზიანთ გოგოს ეკურკურება. ვსთქვათ, გმირმა (დაუჯეროთ მის ლიტონ სიტყვას) „უსამართლობასთან" ბრძოლისთვის დაჰკარგა „კაკარდიანი ქუდი" და „მოულოდნელად გადმოვარდა ხელმწიფის ტახტიდან" (როგორც დედა ამბობს) და „ოთხი თუმანი ჯამაგირი დაჰკარგა"... გვჯერა მისი გმირობა". მერე როგორ უნდა მოქცეულიყო ეს ჩვენი გმირი?" როგორც სკოლიდან გამოგდებული ბავშვი ან „ალისგან" დათხოვნილი ნოქარი დედის თითქმის დახშულ კერას უნდა დაბრუნებოდა და იმისთვის ლუკმა წაერთმია? „გმირს" გმირულად უნდა განეგრძო საქმე, სხვა ცხოვრების სადსარი უნდა აღმოეჩინა. ჩვენის აზრით, ასე იფიქრებს ყველა ადამიანი (გარდა ჩვენის გმირისა), ასე ჰფიქრობს დედაც (და სწორედ სამართლიანად). ავტორი კი სულ სხვა აზრისაა. მისი სიმპატია გმირისკენაა; ყოველივე მისი სიტყვა მარგალიტად მიაჩნია, მისი შაბლონური. მყვირალა, რახა-რუხი ფრაზები კი სიბრძნის ნიმუშად, გმირობის გამომხატველად. დედის მსჯელობა, სიტყვები და სოფელ-მხედველობა ავტორს უმეცრების, გაუნათლებლობის და გაუგებრობის ნაყოფად მიაჩნია. ია ეკალაძე უპირდაპირებს ამ ორ სხვა და სხვა აზრ-შეხედულობის წარმომადგენლებს და ამ დაპირდაპირებით ჰსურს დაგვანახოს და გვაგრძნობინოს სიმახინჯე დედის პიროვნებისა, მისი მონური გრძნობა და პირუტყვული გულის თქმა. ყური დაუგდოთ ერთ-ერთ დედა-შვილის შეტაკებას. დედა გაბრაზებულია, რომ შინ დაუბრუნდა სამსახურიდან გამოგდებული შვილი და მას დააწვა კისერზე სარჩენად.

„...—რა გინდა, დედილო, რასა სჯავრობ-მეთქი? ტკბილი ხმით შევეკითხე.

(დასასრული იქნება)

იპ. ვართაგავა.

სიის ნავთ-სადგურების სამუდამო მფლობელობისთვისო. მეფემ ამის საპასუხოდ სთქვა, რომ მისი შეხედულება არ ეთანხმება ელჩების განცხადებასო.

სოფია. დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლები შეეკითხნენ გეშოვს, თანახმაა თუ არა ბულგარეთის მთავრობა სახელმწიფოთა შუამავლობისა ომის საქმეშიო.

სტამბოლი. ბულგარეთის საზავო მოლაპარაკების გამართვის წინააღმდეგია

პარიზი. პუანკარემ ვაჭრების და მრეწველების რესპუბლიკანულ ბანკეტზე სიტყვა წარმოსთქვა. პუანკარემ სთქვა: საფრანგეთი მუდამ მშვიდობიანობის მონატრული იყო ბალკანეთის საქმეშიო. თუ ფორმულები—„რეფორმების განხორციელება“ და „სტატუს ქვო“ დაძველებულად გვეჩვენება, ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ფორმულები განხორციელება იყო ბალკანეთის სახელმწიფოთა მისწრაფებისა, და საუკეთესო გარანტია მშვიდობიანობისა. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო ბალკანეთის სახელმწიფოებთან, მაშ როგორ მოგვივიდა, რომ ჩვენვე შევიმუშავეთ ფორმულა ევროპის სახელმწიფოთა უინტერესობისა ბალკანეთის საქმეებშიო. ეს მხოლოდ მშვიდობიანობის გულისთვის. ყველაფერს ვიქმთ რასაკვირველია ჩვენი ინტერესების ფხიზელ დაცვასთან ერთად, და ვეცდებით, რომ ომის საშინელებანი თავიდან ავიცილოთო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

2 ოქტომბერი.

კანალეხასის მოკვლის გამო.

მადრიდი. კანალეხასი პანთეონში დაასაფლავეს. მეფე ფეხით მისდევდა განსვენებულის კუბოს.

მადრიდი. მეფემ სთხოვა კაბინეტის თავმჯდომარეობა პალატის თავმჯდომარეს რომანონესის.

ლონდონი. საზოგადო პალატა. დარბაზი ხალხით გაჭედილია. სანამ ასკვიტი პალატის გადაწყვეტილების დარღვევის წინადადებას შეიტანდა, სპიკერმა განაცხადა, რომ ჯერ მაგალითი არა ყოფილა პალატას თავისი გადაწყვეტილება დაერღვიოსო. ოპოზიცია ტაშს უკრავს. ამის შემდეგ გამოდის ასკვიტი და ამბობს, რომ მთავრობის გამოცვლას დიდი არეულობის მოტანა შეუძლიაო, ეხლა, რომ მთავრობამ თვისი ალაგი სხვას დაუთმოსო, ეს იქნებოდა ღალატი ინგლისის პოლიტიკის ტრადიციებისაო. ბონარ-ლოუმ სთქვა: ამ გარემოებიდან გამოსვლა შეიძლება ორი გზით: ან მთავრობა უნდა გადადგეს ან პალატა დაითხოვონო. უნიონისტმა ბულმია ასკვიტს მოღალატე დაუძახა. სპიკერმა წესიერებისაკენ მოუწოდა. სპიკერმა ბული სხდომიდან გამორიცხა. საშინელი არეულობა მოხდა. სპიკერმა სხდომა შესწყვიტა. როცა ასკვიტი მიდიოდა ოპოზიციამ დაუყვირა: თანამდებობას თავი დაანებეთო. ერთმა ოპოზიციის წევრმა მინისტრებისკენ წიგნი გაისროლა, წიგნი ჩირჩილს მოხვდა. ამისთანა სხდომა ჯერ ინგლისის პალატაში არ ყოფილა.

სპარსეთი.

თეირანი. სალარ-უდ-დოულე ტურკმენსკის უდაბნოში წავიდა. იგი ჯარს აგროვებს შახრუდის ასაღებად. მთავრობის ჯარი არა სდევნის.

რუსეთი

პეტერბურგი. შუადღის 2 საათზე დაიწყო სახელმწიფო საბჭოს მუშაობის განახლება პარაკლისი გადაიხდეს. დაესწრნენ მინისტრები და სახელმწიფო საბჭოს წევრები. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე აკიმოვმა სიტყვით მიჰმართა.

უცხოეთი

ბოტო ეილენბურგი.

23 ღვინობისთვეს ბერლინში გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ბოტო ეილენბურგი. ეილენბურგი პრუსიის ისტორიაში ფრიად თვალსაჩინო როლს თამაშობდა. პრუსიის სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ახლო იდგა იმპერიის კანცლერებთან ბისმარკთან და კაპრივთან და ამასთანავე საშინელი მოწინააღმდეგე იყო მათი პოლიტიკისა. ბისმარკი ბოტო ეილენბურგის თაობაზე ამბობდა: იგი გონიერი, ფაქიზი, კეთილშობილი და ფრიად ზრდილიაო“. ბისმარკმა 1878 წელს მიიწვია ეილენბურგი შინაურ საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. ამ თანამდებობას ეილენბურგი სამი წლის განმავლობაში ასრულებდა. ბისმარკს შეეშინდა, ეილენბურგის სახით საშინელი მოპირდაპირე არ გამიჩნდესო და თავიდან მოიცილა. 1894 წელს, როცა კაპრიზმა ლანდაგში მინისტრ-პრეზიდენტობის უარი განაცხადა, მის ნაცვლად ბოტო ეილენბურგი დანიშნეს. ბოტო ეილენბურგი კაპრივზე რეაქციონერი აღმოჩნდა, პრესა აუმხედრდა მინისტრ-პრეზიდენტს რეაქციონურ კანონ-პროექტების გამო. კაპრივი, მაშინდელი კანცლერი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ როგორმე დაემხო ბოტო ეილენბურგი. მაგრამ თავისივე დაგებულ მახეში თვითონვე გაება. კაპრივს ვილჰელმის დახმარების იმედი ჰქონდა მართალია, ბოტო ეილენბურგი თანამდებობიდან გადააყენეს, მაგრამ მასვე გაჰყვა კაპრივიც. ბოლო დრომდე ეილენბურგს სახელმწიფო მოღვაწეობა არ მიუტოვებია. იგი ირიცხებოდა პრუსიის ზემო პალატის ერთ-ერთ გავლენიან წევრად. ეილენბურგი 81 წლისა გარდაიცვალა.

თეატრი და ხელოვნება

ქ. ბათუმი. ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, 27-ს ოქტომბეოს ვერ დავესწარ... როგორც გადმოგვცეს საზოგადოება საკმაოდ დასწრებია ამ საღამოს და კარგადაც ჩაუვლია.

30-ს ოქტომბერს დასდგეს სამ მოქმედებიანი კომედია „**ოჯახი**“ გედევანიშვილისა. რამდენადაც ხსენებულ ავტორის „მსხვერპლი“ კარგი იყო იმოდენად ეს პიესა სუსტი აღმოჩნდა.

მომქმედთა პირთ ვერ დავემდურებით: პეტრე ყაფლანიძე—(სარელი) ტიპური მოხელე იყო. კატო, ამისი მეუღლე (ბეჟანიშვილისა) როცა შემოუსწრობს შვილებს ლოთობის დროს უფრო განცვიფრება გარისხება რომ გამოეჩინა უფრო იქნებოდა... გიმნაზიელები გრიშა (ბარველი) ვასო (ჯაყელი) და ლიზა (ანდრონიკაშვილისა) კარგები იყვნენ ნამეტნავად უკანასკნელი. სვიმონ გორაკიძე (კორიშელი) მუდამ დაკვირვებით და ღირსეულად ასრულებს თავის როლს... ნებიძე მოხელე (ყალაბეგიშვილი) დიქცია და მოქმედება კარგი აქვს, მაგრამ საზოგადოებისაკენ, რომ ნაკლებ იყურებოდეს უკეთესი იქნებოდა.... ძაშო მოახლე (წუწუნავა) ნამდვილი გამასახიერებელი იყო თავის როლისა...

ბოლოს წარმოადგინეს ერთ მოქ. ვოდევილი კ. ყიფიანისა „**დატრიალდა ჯარა**“ კოტე (მურუსიძე) საუკეთესო იყო... წუწუნავა (ტიტინა, ამის ცოლი) რამდენადაც მოახლის როლში კარგი იყო, იმდენად აქ სუსტი.... ირინე, კოტეს დეიდა (ანდრონიკაშვილისა) კარგია, მაგრამ ხმის კილოს ვერ იცავდა... სოსია გლეხი (ყალაბეგიშვილი), კარგი იყო საზოგადოებისკენაც ნაკლებ იყურებოდა.

შედარებით წინა წარმოდგენებთან ხალხი ნაკლებ დაესწრო, ალბად ეს სამშაბათი დღის ბრალია.... კვირას, 5 ნოემბერს, წარმოადგენენ აკაკის „პატარა კახი“ **ტრ. ი—ძე.**

წერილი რედ. მიმართ

მ. ხ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ქუთაისის ქალთა წრეს, რომელმაც კეთილ ინება და გამოუწერა ჩემდამო რწმუნებულ ბუგეულის ორ-კლასიან სასწავლებელს 1912 წლის საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“.

ბუგეულის ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველი **მ. კორძახია.**

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გადაუხადოთ იმ პირთ და დაწესებულებებს, რომლებმაც ვარშავის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტობას წიგნები შემოსწირეს.*)

1911 წლის ენკენისთვეში სტუდ. გ. გიუნაშვილის ხელით მივიღეთ ბ. მ. ჯანაშვილისაგან 8 წიგნი: 1) საქართველოს ისტორია, ჯანაშვილისა, 2) ფარსადან გორგიჯანიძე, 3) ნაშრომი, წიგნი I, 4) ნაშრომი II, 5) ნაშრომი ш, 6) ქართული მწერლობა, 7) გრამმატიკა ჯან სა და 8) Исторія грузинской церкви.

ბ. ზ. ჭიჭინაძისაგან 10 წიგნი: 1) კაცობრიობა და ხალხოსნობა ანტ. ფურცელაძისა, 2) მიხ. თამარაშვილი, 3) იმერეთის ისტორია ვახუშტისა, 4) გიორგი სააკაძე, 5) თამარ მეფე, ზეპირ-გადმოცემით, 6) მარიელიელნი, 7) ქართველნი ისრაელნი საქართველოში, 8) ქართული სტამბა და ვახტანგ VI, 9) მუსულმან ქართველთა საქართველო და 10) ასული ისრაილისა ანტ. ფურცელაძისა.

ბ. ე. თაყაიშვილისაგან 11 წიგნი: 1) არქეოლოგიური მოგზაურობანი ე. თაყაიშვილისა, 2) დილარიანის ნაწყვეტი, 3) მელის წიგნი, 4) სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ, 5) Источники грузинскихъ лѣтописей, ე. თაყ—სა, 6) Матеріали для исторіи Грузіи, ე. თ., 7) Источники исторіи Грузіи, 8) „Жзмъ-Гулаши“, 9) Сонъ Пресв. Богородицы, ე. თ. 10) Сигель царя Баграта IV-го და 11) Разборъ армянскихъ надписей.

ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისაგან: საქართველოს სიძველენი ტომ. I, II და III და პალეოგრაფიული ალბომი.

ბ. სერგო გორგაძისაგან—ტერენტი ვეფხვაძის ხელით მივიღეთ: ჩვენი მწერლობა, ქართული ქრისტომატია, შედგენილი თვით ს. გორგაძის მიერ.

ზემოხსენებულ პირების გარდა დიდ მადლობას ვწირავთ ჟურნალ „განათლების“ რედაქციას, ჟურნალის უფასოდ დათმობისათვის და „სახალხო გაზეთის“ რედაქციებს გაზეთის ფასდაკლებით გამოგზავნისთვის..

მონდობილობით:

სტუდ. ტერენტი ვეფხვაძე და ვანო გველესიანი.

---

*) ამ წერილის დაწერა სხვა და სხვა მიზეზების გამო დაგვიანდა. ტ. ვეფხვაძე.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 7 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8;7, შუადღ 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვ.-დან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. ს. 25 წ. **სახ** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1- მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და ?—მესამისა, მატარებლების №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ,** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათით აღნიშნული).

„**ვაჭრობა-ნაოსნობის**“

საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკეობ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„**კავკაზი და მერკური**“

საზოგადოების გემებისა.

ბაქ-დან გად.ს:

კრასნოვოდსკს, ყოვ. დღე საღ. 4 ს. 40 წ.

ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

განცხადებანი

ღია წერილი

პასუხად ბ. იოსებ კალანდაძეს.

ბ. ი. კ. აბრალებს შიო მიქაძეს, ვითომც მას (მიქაძეს) მიუთვისებია გ. სულხანოვისა ასოცი თუმანი. ჩვენ როგორც დაინტერესებული პირნი ვიყავით რამდენიმე პირებით ქალ. სულხანოვისას სახლში, შესამოწმებლად, რამდენად მართალი ბრძანდება ბ. ი. კ., მაგრამ სულ ცრუ ცილისწამება გამოდგა. ქალ. სულხანოვისამ რამდენიმე მოწმების წინაშე სთქვა, რომ შიო მიქაძეს ჩვენი არავითარი ფული არც მართებია და არც ჰმართებსო.

ზემოთ მოყვანილს ვამოწმებთ:

ნიკო ჯილაური, ნიკო თუშაბრამოვი, ზაქარია ჭოგონიძე. 769

ანასტასია გედევანიშვილის
საბავშვო ბაღი
ბავშვების მიღება ყოველ დღე 10 ს. 1 საათამდე, წყნეთის ქუჩა, ქართული გიმნაზიის შენობა. 156.

ქიათურის შავი-ქვის სარეცხ მექარხნეთა საყურადღებოდ: სტრიალებელი ღვედები T-ва „Треугольникъ“-ისა წარმომადგენელი ქიათურაში: **ძმ. პ. გ. და მ. ლომაძე.** 1560.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტაციურად.**
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბეგახროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებიო ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ამეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. ქ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიბინი** 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ამეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი
„SALO—პიჩილინი“
სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე მევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.
მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.
დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად საავფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.
წ. 1161

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი
I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 „
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ 65 „
IV „ წერილები „(ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 „

—◆ **გამოსულია და იყიდება** ◆—
ნ. შიუკაშვილის
პიესა „**მემონობა**“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„**მამცემი**“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა ასრულებს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას.
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება შემდეგი სასიმღერო და საგალობელი ნოტები:

„სალამური“. სახალხო სიმღერები	25 კ.
ქართ. ერთხმ. სიმღერები, არაყიშვილისა	20 „
„ვაი დრონი, დრონი“. ქართლ. კილო	20 „
მოგონება. გურული კილო	40 „
ქართ. სიმღ. მეგრ. კილოზე	25 „
ლეკური ჯანდიერისა	30 „
ქართული რომანსი ფალიაშვილისა	50 „
ნანა, შვილო! ფალიაშვილისა	40 „
ახალ ალნავო, მისივე	40 „
რვა ქართული სახალხო სიმღერა. მისივე	1 მ.—
ქართ. ხალხ. სიმღ. კრებული მისივე	1 მ. 50 „
ქართ. საეკ. გალობა მისივე	1 „ 25 „
ქართ. ხალხ. სიმღერები და ლექსები კარგარეთელისა	50 „
ქართ. სახ. სიმღერები მისივე	50 „
ქართ. ეროვნული სიმღერები ფორტეპიანოს აკომპ. არაყიშვილისა	1 მ.—
ქართული ცეკვა მისივე	50 „
მგოსნის სიმღერა ოპერიდან „თქმულება შოთაზე“ მისივე	60 „
Народныя пѣсни зап. грузіи მისივე	2 მ.—

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) **ზიზილალა.**
თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგრელოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარალანა, ლოქო და სხვა, და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი
◆ **შავი ხიზილალა** ◆

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.